# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

№2493 2014 წლის 26 დეკემბერი ქ. თბილისი

## „სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია ლიმიტედი საქართველოსათვის“ (უცხოური საწარმოს ფილიალი) უძრავი ქონების უსასყიდლო აღნაგობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“, „სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია ლიმიტედ საქართველოს“ (უცხოური საწარმოს ფილიალი, ს/კ №205011609) უსასყიდლო აღნაგობის უფლებით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 49 (ორმოცდაცხრა) წლის ვადით, გადასცეს ამ განკარგულების დანართში მითითებული უძრავი ქონება.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების უსასყიდლო აღნაგობის უფლებით გადაცემის პირობად განისაზღვროს აღნაგობის საგნის მიწისზედა საშუალებების მშენებლობისა და შემდგომი ექსპლუატაციის მიზნით გამოყენება.

3. ამ განკარგულების შესრულების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**

დანართი

| № | საკადასტრო კოდი | მისამართი | დანიშნულება | ფართობი კვ.მ. | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 81.16.03.613 | გარდაბანი,სოფელი ქესალო | არასასოფლო-სამეურნეო | 10.00 | |
| 2 | 81.17.01.150 | რაიონი გარდაბანი, ნაზარლო | არასასოფლო-სამეურნეო | 1801.00 | |
| 3 | 81.17.01.151 | გარდაბანი, სოფელი ნაზარლო | არასასოფლო-სამეურნეო | 801.00 | |
| 4 | 81.17.01.254 | გარდაბანი, სოფელი ნაზარლო | არასასოფლო-სამეურნეო | 1360.00 | |
| 5 | 81.17.01.273 | გარდაბანი, სოფელი ნაზარლო | არასასოფლო-სამეურნეო | 735.00 | |
| 6 | 81.17.14.041 | რაიონი გარდაბანი, ნაზარლო | არასასოფლო-სამეურნეო | 648.00 | |
| 7 | 81.17.14.741 | გარდაბანი, სოფელი ნაზარლო | არასასოფლო-სამეურნეო | 15649.00 | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 8 | 81.17.14.742 | გარდაბანი, სოფელი ნაზარლო | არასასოფლო-სამეურნეო | 525.00 | |
| 9 | 81.17.14.746 | გარდაბანი, სოფელი ნაზარლო | არასასოფლო-სამეურნეო | 693.00 | |
| 10 | 81.17.14.754 | გარდაბანი, სოფელი ნაზარლო | არასასოფლო-სამეურნეო | 94.00 | |

22316